საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 776/01
02/02/2021

776-01-2-202102021101

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 11 იანვრის N157, N158 და N159 სკრინინგის განცხადებები, რომლებიც ეხება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ საერთაშორისო მნიშვნელობის E-60 ავტომაგისტრალის ბორითი-ხევის (F2) მონაკვეთის მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სოფ. ვერტყვიჭალისა და სოფ. საქასრიას მიმდებარედ N6, N7 და N9 სანაყაროების ნაპირდამცავი ნაგებობების (ნაპირდამცავი ფლეთილი ქვის კონსტრუქციის) სკრინინგის ანგარიშებს.

გაცნობებთ, რომ N6 ფუჭი ქანების სანაყაროს ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელებაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ ბრძანება N2-127 12.02.2020, N7 ფუჭი ქანების სანაყაროს ნაპირსამაგრ სამუშაოებზე - ბრძანება N2-117 06.02.2020, ხოლო N9 ფუჭი ქანების სანაყაროს ნაპირსამაგრ სამუშაოებზე - ბრძანება N2-84 31.01.2020, რასთან დაკავშირებითაც წარმოდგენილ განცხადებებში არ არის მოცემული ინფორმაცია. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებებში წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია ზემოაღნიშნული სკრინინგის გადაწყვეტილებების საფუძველზე გაცემულ ნაპირსამაგრ სამუშაოებთან დაკავშირებით დაგეგმილი ცვლილების და მისი საჭიროების შესახებ. წარმოდგენილ სკრინინგის დოკუმენტებში ძირითადი ყურადღება ეთმობა სანაყაროების მოწყობასთან დაკავშირებულ საკითხებს და სათანადოდ არ არის განხილული ნაპირსამაგრის ტექნიკური მახასიათებლები, მოწყობის სამუშაოები და უშუალოდ ნაპირსამაგრის განთავსების GPS კოორდინატები. სკრინინგის განცხადების თანდართულ GIS shape ფაილებზე წარმოდგენილია მთლიანი სანაყაროების პოლიგონი და დატანილი არ არის/არ იდენტიფიცირდება უშუალოდ ნაპირსამაგრი ნაგებობის კონტური.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებში ნაცვლად ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობისაგან გამოწვეული ზემოქმედებისა, მოცემულია სანაყაროს მოწყობით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება, ხოლო ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობა განხილულია როგორც შემარბილებელი ღონისძიება. იმის გათვალისწინებით, რომ ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობა განხილულია როგორც ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების ძირითადი შემარბილებელი ღონისძიება, აღნიშნული სათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული. ამასთან, სკრინინგის სამივე განაცხადი უნდა მოიცავდეს სანაყაროს და უშუალოდ ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობისათვის შერჩეულ ტერიტორიებზე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044

ჭრა/განადგურებას დაქვემდებარებული მცენარეების ნუსხას და მათ რაოდენობას. ასევე, სკრინინგის დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს ნაპირდამცავი ნაგებობების მოწყობიდან გამომდინარე ზემოქმედების შეფასებას გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-7 მუხლში მითითებული სკრინინგის კრიტერიუმების შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო შესაბამისი სკრინინგის გადაწყვეტილებების მიღების მიზნით იმსჯელებს მას შემდეგ, რაც საავტომობილო გზების დეპარტამენტი უზრუნველყოფს განახლებული სკრინინგის განცხადებების წარმოდგენას, წერილში მოცემული შენიშვნების გათვალისწინებით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე